ხელშეკრულება N143

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი 10.06.2019 წელი

ერთი მხრივ, ხონის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის, ლადო ჯურხაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ხონი, თავისუფლების მოედანი N6
საიდენტიფიკაციო კოდი: №244961225
ტელეფონის ნომერი: 0495 222 555
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 300299921

და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ანზორ მეგრელიშვილის სახით (შემდგომში -მომწოდებელი),
მისამართი: ქ.თბილისი, დ/დიღომი ი.პეტრიწის 5ა - ბ12
საიდენტიფიკაციო კოდი: 405187391
ტელეფონის ნომერი: 574888845
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE05LB0115136810262000

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 საზაფხულო სეზონის შემაჯამებელი ღონისძიებაში - „გაიცანი ევროპა და განავითარე შენი ქალაქი", გამარჯვებული სამი ახალგაზრდისათვის დაწესებული პრიზის - კაბადოკიაში მოგზაურობის უზრუნველყოფა.

1.2 ჯლასიფიკატორის კოდი: CPV 98100000 – საწევრო ორგანიზაციის ორგანიზება, 98133110 - ახალგაზრდული ასოციაციების (ორგანიზაციების) მიერ გაწეული მომსახურებები).

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 900.00 (ცხრაასი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 წინასწარი ანგარიშსწორება, მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისის საფუძველზე.

3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხონის მუნიციპალიტეტის მერი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი.

4. მოწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1 მომსახურეობა განხორციელდება 2019 წლის 25 აგვისტომდე.

4.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,2% ოდენობით.
6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითად ვალდებულებების შესრულებისგან.
6.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
6.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20% ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.
7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.
7.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.4 მხარე ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის სესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაშ, მხარე ვალდებულია დაუყონებლივ ან არაუმეტეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1 საქართველოს კანონის ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
10.2 მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპის მეშვეობით:

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

self governing unit of khoni municipality

Digitally signed by self governing unit of khoni municipality
DN: cn=self governing unit of khoni municipality, 2.5.4.97=NTRGE-244961225, o=[illegible], c=GE
Date: 2019.06.10 14:58:30 +04'00'